**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი**
**„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**

**2018-2021 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა**

**1. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის მიზანი:**

ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა ძირითადად ეყრდნობა კოლეჯის მისიასა და განვითარების სტრატეგიულ პოლიტიკას.

ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ასევე განმსაზღვრელ როლს თამაშობს მიმდინარე პერიოდში შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები.

ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა თავისმხრივ წარმოადგენს გეგმიურ დოკუმენტს, რომელიც აგებულია შემდეგი სტრუქტურით:

**ა) სასწავლო პროგრამების ხარისხის შემდგომი განვითარება:**

პროგრამების მრავალფეროვნების გაზრდა, ისევე როგორც სწავლების ახალი საფეხურების დამატება, პროფესიული პროგრამების მოდიფიცირება, მოდულირებული პროგრამების დანერგვა, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, ხარისხის შიდა სტანდარტების შექმნა და შიდა მონიტორინგის (შეფასების სისტემის) ამოქმედება.

**ბ) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემის ამოქმედება**

ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების - პროფესიული სტანდარტების, პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურების ამოქმედება და სრულყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების არსებობის პარალელურად მნიშვნელოვანია ხარისხის სტანდარტების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის შიგნითაც და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ამოქმედება. სტრატეგიული გეგმის თანახმად, კოლეჯში შემუშავებული იქნება ხარისხის შიდა მიზნები და ამოქმედებული იქნება შიდა შეფასების ციკლური სისტემა. პროგრამების ხარისხის შიდა სტანდარტებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საწარმოო პრაქტიკის ხელმისაწვდომობისა და სტუდენტებში სამეწარმეო უნარების განვითარების საკითხებზე.

**გ) მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემდგომი სრულყოფა**

კოლეჯი ახორციელებს და გეგმავს ასევე დამატებით ახალი მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება-გადამზადების კურსების ამოქმედებას. კოლეჯის შეფასებით, რამდენიმე მიმართულებით უკვე გამოიკვეთა მოთხოვნა ამგვარ კურსებზე. კურსების შექმნის იდეა ეხმიანება სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფციას, შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, უფრო პოპულარული გახადოს საკუთარი საქმიანობა და მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები.

**2. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ამოცანები**

ა) 2018-2021 წლების განმავლობაში ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების უზრუნველყოფა და საქართველოში არსებულ პროფესილი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის წარმატებული პოზიციების დამკვიდრება-შენარჩუნება ინჟინერიის, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ასევე მომსახურების მიმართულებების პროფესიულ პროგრამებზე;

ბ) კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება;

გ) გარემონიტორინგისა და ხელშეწყობის სპეციალისტებთან ერთად, აქტიური მუშაობა და ავტორიზებული მოდულური პროგრამების დანერგვა-განხორციელება;

დ) ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით ახალი მოდულური პროგრამების შემუშავება და ავტორიზაციისათვის მომზადება;

ე) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემის ამოქმედება.

**ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის მიზნების და ამოცანების განხორციელების პროცესის შემადგენელი კომპონენტები და ვადები:**

| აქტივობები | ვადები | პასუხისმგებელი პირი | ინდიკატორები/ გადამოწმების საშუალება |
|---|---|---|---|
| **წლიური ანგარიშის მომზადება** | 2018 წ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | დადგენილ ვადებში წარდგენილი დოკუმენტაცია |
| *დამტკიცებული მოდულური პროგრამების რეავტორიზაციისათვის მომზადება და გავლა, კერძოდ:*<br>• ბუღალტრული აღრიცხვა, მე-5 საფეხური.<br>• ინფორმაციის ტექნოლოგია, მე-3 საფეხური.<br>• კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი, მე-5 საფეხური.<br>• ვებ პროგრამისტი, მე-5 საფეხური<br>• საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი, მე-3 საფეხური.<br>• სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი), მე-4 საფეხური.<br>• ბანკის მოლარე-ოპერატორი, მე-3 საფეხური. | 2018-2021წწ. | დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი | დადგენილ ვადებში წარდგენილი დოკუმენტაცია |
| *ახალი მოდულური პროგრამების შემუშავება, ავტორიზაცია და დანერგვა-განხორციელება:*<br>• მობილურ-საკომუნიკაციო აპარატების ტექნიკოსი;<br>• ციფრული ხელოვნება (გრაფიკული დიზაინი);<br>• ციფრული ხელოვნება (ინდუსტრიული დიზაინი);<br>• ძრავის შეკეთება;<br>• მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი;<br>• აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება;<br>• სავალი ნაწილის შეკეთება;<br>• სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი;<br>• ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება;<br>• ელექტრონული სისტემების შეკეთება;<br>• საოფისე საქმე;<br>• კომპიუტერული ქსელი და სისტემები (4);<br>• საფინანსო სერვისები;<br>• ... | 2018-2019წწ. | დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი | სასწავლო პროგრამების აღწერის დოკუმენტები, დადგენილ ვადებში წარდგენილი დოკუმენტაცია |
| **ხარისხის მართვის შიდა სისტემის გაუმჯობესება** | | | |
| **ხარისხის მიზნებისა და ინდიკატორების შემუშავება** | 2018-2019წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | შესაბამისი დოკუმენტაცია, მონიტორინგის ანგარიშები |
| **მოდულური პროგრამების მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების ფორმების შემუშავება** | 2018წ. | დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი | შესაბამისი დოკუმენტაცია |
| **მოდულური პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირება** | 2018წ. | დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი | შესაბამისი დოკუმენტაცია, მონიტორინგის ანგარიშები |
| **ხარისხის მართვის პროცედურების გაწერა, განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების გაუმჯობესება** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც მოიცავს, როგორც ძირითადი პროცესების, ასევე დამხმარე მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. ასევე რესურსების სტანდარტიზების ინსტრუქციებს. |
| **ხარისხის მართვის განახლებული სისტემის საპილოტე დანერგვა** | 2019წ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | სისტემის ფუნქციონირების ჩანაწერები, შიდა მონიტორინგის ანგარიშები |
| **განახლებული სისტემის სრულად ამოქმედება** | 2020-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | სისტემის ფუნქციონირების ჩანაწერები, შიდა აუდიტის ანგარიშები |
| **თვითშეფასების განხორციელება და ხარისხის გაუმჯობესების შემდგომი გეგმის ფორმირება** | 2020-21წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი | თვითშეფასების ანგარიში და განვითარების გეგმა |
| **სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება** | | | |
| **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | შექმნილია საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარის ფორმა. არსებობს პირველი მოკვლევის შედეგების ანგარიში |
| **პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების გეგმის შემუშავება** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | შედეგებზე დაყრდნობით შექმნილია გადამზადების გეგმა, რომელიც ასახავს კონკრეტულ დაგეგმილ ღონისძიებებს, ვადებს, სამიზნე ჯგუფებს, გადამზადების უზრუნველყოს ფორმებს (გარე ტრენინგი, შიდა ტრენინგი, წრთნვა, სემინარი თუ სხვა) და საჭირო რესურსებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| **გეგმის განხორციელება და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში (ანგარიში პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებაზე) |
| **პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | შესაბამისი ანგარიში/ები |
| **წარჩინებული მასწავლებლების გამოვლენის პროცედურების დადგენა და განხორციელება** | 2018-2021წწ | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში/ები |
| **წარჩინებული პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის გაზიარება/დანერგვა** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | |
| **სტუდენტების მოტივაციის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება** | 2018-2021წწ | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში/ები |
| **თანამედროვე სასწავლო ლიტერატურისა თუ ინტერნეტრესურსის მოძიების ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.** | 2018-2021წწ. | ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში/ები |